დამტკიცებულია
კოლეჯის დირექტორის
2023 წლის 7 ნოემბრის
N13892 ბრძანებით

# საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის (შემდგომში კოლეჯი) საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციის წესს (შემდგომში სტრატეგია), რომელიც მიზნად ისახავს კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტიანობის მაქსიმალიზაციას.

საზოგადოებასთან კომუნიკაციის ძირითადი ფუნქციები:

1. კოლეჯის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, საზოგადოებაში მისი პოპულარობის ხარისხის ამაღლების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა და ორგანიზება;
2. კოლეჯის მიმდინარე და დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებების, პროგრამებისა და სხვადასხვა პროექტების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის ზრდა.
3. კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან, დამსაქმებლებთან, პრაქტიკის განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, მსმენელებთან და სახვა დაინტერესებულ პირებთან მედიასთან ურთიერთობის პროექტების შემუშავება;

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი შეიცავს შემდეგ საფეხურებს:

1. კოლეჯის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, საზოგადოებაში მისი ცნობადობის ხარისხის ამაღლების მიზნით, სხვადასხვა სახის აქტივობის დაგეგმვასა და ორგანიზება;
2. აპლიკანტების მიღებისათვის სარეკლამო კამპანიის დაგეგმვასა და წარმართვა;
3. კოლეჯის ორგანიზებით, ყოველი ახალი მიღების პროფესიული სტუდენტებისთვის, მარტივი ინტეგრაციისა და ერთმანეთის უკეთ გაცნობის მიზნით ღია კარის დღეების მოწყობა.
4. სოცმედიაში რეკლამირებასა და ბუკლეტების დამზადება.
5. ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან შეხვედრების ორგანიზება;
6. ინფორმაციის მიწოდებას როგორც კოლეჯში მიმდინარე ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, ასევე მათგან უკუკავშირს, კოლეჯისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა საქმიანობის განვითარების შესახებ;
7. პარტნიორ კოლეჯებთან კომუნიკაციასა და შეხვედრების ორგანიზების შესახებ ინფორმაცია;
8. პარტნიორი კოლეჯების გამოცდილებისა და მიმდინარე საქმიანობის ურთიერთ გაცვლა - გაზიარებას, ასევე ქვეყნის შიგნით და გარეთ პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებების და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის გაცვლა;

9. კოლეჯში კულტურულ-შემოქმედებითი, სასწავლო-სახელოვნებო საქმიანობის დაგეგმვასა და ორგანიზება;
10. სხვადასხვა სახის, ქვეყნისა და კოლეჯის შიგნით არსებული სადღესასწაულო, შემეცნებითი და საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება;
11. კოლეჯის ვებგვერდის http://fanaskerteli.edu.ge/ მართვასა და განვითარება;
12. კოლეჯში მიმდინარე სიახლეების (სასწავლო პროცესში არსებული ცვლილებების, ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გზამკვლევის, კოლეჯის დებულებისა და სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესახებ ინფორმირება.
13. კოლეჯის ოფიციალური სოციალური მედიის https://www.facebook.com/fanaskerteli.edu.ge მართვას, განვითარებასა და მისი საკომუნიკაციო ფუნქციების უკუკავშირისათვის გამოყენება;
14. კოლეჯში დაგეგმილი ან მიმდინარე ღონისძიებების გაშუქება;
15. კოლეჯის ელექტრონული ფოსტის - fanaskerteli@gmail.com მართვა და გამოყენება საკომუნიკაციო მიზნებისათვის.
16. აღნიშნული წესი ვრცელდება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის თელავის განყოფილებაზეც.
17. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესზე პასუხისმგებელია, დირექტორის მოადგილე.